ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №2807393

ნომერი: AR1434809

თარიღი : 24.08.2016

გაცემის თარიღი : 30.08.2016

გაცნობის თარიღი : 30.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლისის ტბის დასახლება , ნაკვ. 09/110 / ქალაქი თბილისი , ფერმწერთა ქუჩა N109 / ქალაქი თბილისი , ქუჩა გმანიერი , მიმდებარედ , ნაკვეთი 09/104 / ქალაქი თბილისი , ფერმწერთა ქ. N111 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- გურამ ტყეშელაშვილი პ/ნ 01018001173
- თბილისი ი.გოგებაშვილის ქ. N 9

ორგანიზაცია:
- შ.პ.ს ფორმა კოდი: 216312915

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

# გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი საკითხი და განხილვის შედეგად დაგიდგინათ შემდეგი სახის ხარვეზები, კერძოდ (ხარვეზების შესახებ ინფორმაცია მითითებულია შესაბამისი ველების გასწვრივ):

..ფოტომონტაჟი -> ..ფოტომონტაჟის pdf ფაილი : საქართველოს კანონი "რეკლამის შესახებ", თავი II, მუხლი 4, პ. 2-ის თანახმად "რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე". გამომდინარე აქედან, სარეკლამო აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზემოთ (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული. თქვენს შემთხვევაში "ათასწლეულის სკოლა" ქართულად უნდა იყოს მიწერილი.

ასევე წარმოსადგენია საკადასტრო გეგმაზე დატანილი სარეკლამო აბრების ზუსტი განთავსების ადგილი, რომელიც უნდა აიტვირთოს "ფაილის მიმაგრების ველში".

საჯარო რეესტრის ამონაწერის თანახმად საპროექტო შენობის მესაკუთრეა შპს "ათასწლეულის სკოლა", რომლის დირექტორსაც სამეწარმეო რეესტრის მიხედვით ფიქსირდება მოქ. აპოლონ ტყეშელაშვილი, წარმოსადგენია "მინდობილობა/რწმუნებულების ველში" მოქ. აპოლონ ტყეშელაშვილის მიერ თქვენს სახელზე გაცემული მინდობილობა ჩასატარებელი სამუშაოების თაობაზე, ან ასევე შესაძლებელია მოქ. აპოლონ ტყეშლაშვილი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

გაითვალისწინეთ, რომ თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.